ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1345596

ნომერი: AR1228796

თარიღი : 14.06.2014

გაცემის თარიღი : 07.07.2014

გაცნობის თარიღი : 08.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013წ. #972273 გადაწყვეტილებისძალადაკარგულად გამოცხადებისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/14/2014წ. #AR1228796 განაცხადით მომართა ჯემალ მიმინოშვილმადა მოითხოვასამსახურის 30.10.2013წ. #972273 გადაწყვეტილების ძალდაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 30.10.2013წ. #972273 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურაქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ჩოლოყაშვილის ქუჩა #48ა / ჩოლოყაშვილის ჩიხი III, #4 (ნაკვეთი №60/30), საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობა.
დღეისათვის, დამკვეთი ითხოვს 30.10.2013წ. #972273 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვს აქვს ინტერესი აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.
ამასთან, სამსახურში წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ სამშენებლო ობიექტზე ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მშენებლობა ნაწარმოები არ არის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ემუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთს აღარ გააჩნია, ზემოთ მითითებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ გავითარების ინტერესი და ამასთან, მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ემუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ჯემალ მიმინოშვილის 06/14/2014წ. #AR1228796 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013წ. #972273 გადაწყვეტილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.